ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 397

"20" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს №1414626 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ჯიქიას ქ. №10-ში მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის დასამუსავებლად გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 17 ნოემბრის №56 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 16 დეკემბრის №04/20328 წერილის (AR1445561) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს №1414626 გადაწყვეტილებით გაცემულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში და საპროექტო არეალში დაფიქსირდეს შემდეგი საკადასტრო ერთეულები: 01.14.05.008.158; 01.14.05.008.221; 01.14.05.008.222; 01.14.05.008.223; 01.14.05.008.260; 01.14.05.008.236; 01.14.05.008.219; 01.14.05.008.217; 01.14.05.008.218; 01.14.05.008.224 .

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი